ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

---/----/----

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის ----- ---------- ქალაქ თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

1. **შპს „----------“,** კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ----------; წარმოდგენილი მისი დირექტორის ------ სახით შემდგომში წოდებული როგორც „გამყიდველი“;

2. **შპს „----------“,** კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ----------; წარმოდგენილი მისი დირექტორის ------ სახით შემდგომში შემდგომში წოდებული როგორც „შუამავალი“;

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში ხელშეკრულებად წოდებული) ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

ტერმინთა განმარტებები:

1.**პროდუქცია** – „გამყიდველის“ საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სახის პროდუქცია, რომელთა რეალიზაციის სურვილი გააჩნია „გამყიდველს“ და რომელთა შესახებაც ინფორმაციას, მათი შემდგომი რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, იგი მიაწვდის “შუამავალს”.
2.**მომსახურება** – ხელშერკულების პირობების შესაბამისად „შუამავლის“ მიერ პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მესამე პირების მოძიება და მათი „გამყიდველთან“ დაკავშირება;
3.**ფრაისლისტი** – დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ხელშერკულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. ფრაისლისტი შეიცავს: პროდუქციის ჩამონათვალს, პროდუქციის მონაცემებს და „გამყიდველის“ მიერ განსაზღვრულ პროდუქციის სარეალიზაციო ფასს;
4.**მომსახურების განხორციელება** – ხელშერკულებით გათვალისწინებული მომსახურება შესრულებულად ითვლება, როდესაც „შუამავლის“ შუამავლობის შედეგად „გამყიდველსა“ და მესამე პირს შორის შედგება პროდუქციის ნასყიდობის გარიგება;
5.**მიღება–ჩაბარების აქტი** – დოკუმენტი, რომელიც ფორმდება “შუამავლის” მიერ მომსახურების ყოველი განხორციელების დროს და რომელიც უნდა შეიცავდეს, მესამე პირის ვინაობას, თანხის ოდენობას რა თანხადაც მოხდა მესამე პირზე პროდუქციის რეალიზაცია და „შუამავლის“ მომსახურების ღირებულებას;
6.**მესამე პირი** – ნებისმიერი სუბიექტი „გამყიდველის“ და „შუამავლის“ გარდა;
7.**მხარე** - „გამყიდველი“ ან „შუამავალი“ ცალ-ცალკე, ერთად „მხარეები“;
8.**ხელშეკრულება** – წინამდებარე ხელშეკრულება;

1. ხელშეკრულების საგანი

*გამყიდველი*_____ *შუამავალი*_____

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ხელშეკრულებით გათვალისაწინებული ანაზღაურების საფუძველზე, „შუამავლის“ მიერ „მომსახურეობის“ განხორციელება.

1.2. მხარეები თანხმდებიან, რომ "შუამავალი" არ იღებს ვალდებულებას, რომ მოახდნოს რაიმე კონკრეტული ოდენობის „პროდუქციის“ რეალიზაციას;

1.3. „გამყიდველი“ აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ „პროდუქცია“ წარმოადგენს მის საკუთრებას და მას გააჩნია ყველა უფლებამოსილება მოახდინოს „პროდუქციის“ რეალიზაცია და/ან მისი გამოყენება ხელშეკრულების მიზნებისთვის;

1.4. „პროდუქციის“ ჩამონათვალი, მონაცემები და „გამყიდველის“ მიერ განსაზღვრული სარეალიზაციო ფასი მოცემულია „ფრაისლისტში“.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. "შუამავალი" ვალდებულია:

2.1.1. დამოუკიდებლად, თავისი ხარჯით შეასრულოს „პროდუქციის“ რეალიზაციის ხელშეწყობისთვის საჭირო ყველა სამუშაოები, მათ შორის პოტენციურ შემძენებს მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია "პროდუქციის“ შესახებ;

2.1.2. მომსახურეობა განახორციელოს „ფრაისლისტში“ მითითებული მონაცემების შესაბამისად;

2.2. „შუამავალს“ უფლება აქვს:

2.2.1. თავისი შეხედულებისამებრ, თვითონ განსაზღვროს თუ როგორ მოახდენს „პროდუქციის“ რეალიზაციის ხელშეწყობისთვის საჭირო მოქმედებების განხორციელებას;

2.2.2. მოახდინოს ყველა იმ მოქმედების განხორციელება, რაც საჭიროა პროდუქციის რეკლამირებისათვის და/ან რეალიზაციის ხელშეწყობითვის;

2.3. „გამყიდველი“ ვალდებულია:

2.3.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიაწოდოს „შუამავალს“ ინფორმაცია „პროდუქციის“-ს შესახებ;

2.3.2. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი "შუამავალს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;

2.3.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოახდინოს ანგარიშსწორება „შუამავალთან“;

2.3.4. ხელშეკრულების მიზნებისათვის განხორციელებული მოქმედებით არ დაარღვიოს საქართველოს კანონმდებლობა და არ შელახოს მესამე პირის უფლებები;

2.3.5. „შუამავლის“ შუამავლობის შედეგად პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში, 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში აცნობოს "შუამავალს"-ს

2.4. „გამყიდველ“-ს უფლება აქვს:

2.4.1. თვითონაც მოახდინოს პროდუქციის შემძენი პირების მოძიება;

2.4.2. "შუამავლისგან“ მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

3. ანაზღაურება

3.1. „გამყიდველის“ მიერ „შუამავალზე“ გადასახდელი თანხის ღირებულების გამოთვლა წარმოებს „შუამავლის“ შუამავლობის შედეგად, „გამყიდველსა“ და მესამე პირს შორის შემდგარი ყოველი გარიგების ღირებულებიდან, ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტი;

3.2. „შუამავლის“ შუამავლობის შედეგად, „გამყიდველსა“ და მესამე პირს შორის შემდგარი ყოველი გარიგების შემდგომ, „გამყიდველსა“ და „შუამავალს“ შორის უნდა გაფორმდეს „მომსახურების“

*გამყიდველი*_____ *შუამავალი*_____

„მიღება-ჩაბარების“ აქტი, სადაც მიეთითება, ხელშეკრულების 3.1. პუნქტის მიხედვით გამოთვლილი „შუამავლის“ მომსახურების ღირებულება.

4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის ------- ---------- ჩათვლით. თუ ამ პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე ერთ-ერთი მხარე წერილობით უარს არ განაცხადებს ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება 6 (ექვსი) თვის ვადით. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ყოველი გასვლის შემთხვევაში გამოიყენება ამ პუნქტში აღნიშნული მექანიზმი.

4.2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:

4.2.1. მხარეთა შეთანხმებით.

4.2.2. კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

5. პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, რომლებიც ხელს უშლის ან აყოვნებს რომელიმე მხარის მიერ მის ვალდებულებათა შესრულებას და რომლის აღკვეთაც სცილდება ამ მხარის გონივრულ კონტროლს, და მიუხედავად ამ მხარის მიზანშეწონილი მოქმედებისა, შეუძლებელია იქნეს აღკვეთილი, თავიდან აცილებული ან გამოსწორებული.

6.2. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აცნობონ ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

7. სხვა დებულებები

7.1. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხარეების სრული შეთანხმების შედეგია და ენიჭება უპირატესობა მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

7.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ იგი გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი, რაც დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გამყიდველი _____ *შუამავალი* _____

7.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად.

8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„გამყიდველი“	**„შუამავალი“**
შპს „	შპს „
ს/კ	ს/კ
მისამართი:	მისამართი:
დირექტორი:	დირექტორი:
ხელმოწერა:	ხელმოწერა:

ბ.ა.

ფრაისლისტი

აღნიშნული ფრაისლისტი წარმოადგენს ხელშეკრულება # ---/----/---------- - ის დანართს და მის განუყოფელ ნაწილს, რომელიც შეიცავს: პროდუქციის ჩამონათვალს, პროდუქციის მონაცემებს და „გამყიდველის“ მიერ განსაზღვრულ პროდუქციის სარეალიზაციო ფასს;

#	პროდუქციის ჩამონათვალი	ზომის ერთეული	სარეალიზაციო ფასი (EUR)	შენიშვანა
1				
2				
3				
4				
5				

*გამყიდველი*_____ *შუამავალი*_____

6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
17				
18				
19				
20				

* ფასები მითითებულია ევროში (EUR), ანგარიშსწორება მოხდება ექვივალენტ ლარში (GEL), ანგარიშსწორების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

„გამყიდველი“ **„შუამავალი“**

_____ _____

ხელმოწერა ხელმოწერა